სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/03

ქ. თბილისი 18 იანვარი 2024 წ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 18 თებერვლის №01-05-04/03 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობისათვის, ქართულ და აზერბაიჯანულ უნივერსიტეტებს შორის პირდაპირი კავშირების განმტკიცების საქმეში გაწეული ღვაწლისთვის, აზერბაიჯანის მეცნიერებისა და განათლების მინისტრს, მის აღმატებულება ემირ ამრულაევს მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **საპატიო დოქტორის** წოდება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**